




ქართველი  
ბიზლირთქე



ნ.ბ. შირცხაშვილი



— თქვენ ხელავე დავით გიორგვიჩ ალმაშენ-  
ბლის, თამარ გიორგვიჩა და ლევა თამაროვი-  
ჩის ფრესკებს. მეორე დარბაზში გავცნობით ერ-  
კლე ტეიშურაშვილისა და გიორგი ერეკლოვიჩის  
პორტრეტებს...

№ 9 (1283) მაისი 1968

# ნაწილი

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კპპ.






ალექსანდრე წუწუნავას სახელობის მახარაძის  
სახელმწიფო თეატრის კოლექტივის

ხელში ჩონგური აიღო, ნაცვლად თავისი ჩანგლისა,  
და გადაწვიტა სათქვენოდ ნიანგმა მარტო კარგის თქმა:  
დიდება, ვაშა-დიდება თქვენს ისტორიას ასწლიანს!  
(დედანი გამოგიგზავნეთ, ეს მხოლოდ მისი ასლია).  
ბჭენი ქართული თეატრის მაგ თქვენმა მხრებმაც აზიდა  
და სცენის ბევრი არწივი აფრინდა მახარაძიდან...  
ხელონში, თუკი გექნებათ, ასი პიესაც ვერ დაგდლით,  
დე, არასოდეს დაგედგათ ჩვენი საკბილო სპექტაკლი...  
ახალი წარმოდგენებით აჯობეთ წამყვან თეატრებს  
და ნახავთ, მაყურებელი თქვენს კარებს თუ არ შეამტვრევს.  
სულ ხალხს უსმინეთ: მის სულში უკვდავი განძი მარხია,  
დღეს თქვენი უპირველესი სუფლიორი ხომ ხალხია?!  
თქვენი თეატრი ფეხდაფეხ მიჰყვეს ეპოქის მსვლელობას,  
ძვირფას ჩუქურთმად ამკობდეს ჩვენი კულტურის შენობას!  
ახალი ფრთები შეგსხმოდეთ ამ დიდი იუბილეთი,  
თქვენს სპექტაკლებზე ნიანგსაც უჭირდეს შოვნა ბილეთის...  
ეს არის ჩვენი მოლოცვა, სურვილებიც და ადრესიც...  
თუ გაქვთ, ჩამოვალთ, დაგლოცავთ ნატურალური „ადესით“.

ა. წ. 9 აპრილს შეატულდა 70  
წელი ცნობილი ქართველი მწერ-  
ლის იაკინთელისა-მწიფი  
ლის დაბადებულს.  
წლების მანძილზე რგი ჩუქურთმე  
ნი ურუნალის პასუხისმგებელი  
რედაქტორი. „ნიანგის ბიბლიო-  
თეკის“ სერიით გამოცემული აქვს  
სატირულ-იუმორისტული ნაწარ-  
მოებების კრებული „მოგიკვდეს  
შენი ჭიჭიკო!“  
ამჟამად მუშაობს საავტორო  
უფლებათა დაცვის სამმართვე-  
ლოს (საუდის) დირექტორად.

მაგობრული შარში ბ. ფირცხალავასი



პატივისცემის, მადლობის  
და სიყვარულის სინთეზით  
გვესურს იუბილე აღვნიშნოთ  
ძვირფასი იაკინთელისი.  
  
„გაშლილი ფრონტი“ შეიჭრა  
ახალ ცხოვრების „ზვირთებში...“  
ხალხში გაიდგა მწერლის და  
კაცური კაცის ძირ-ფესვი.  
  
ახლა კი ამას ვუსურვებთ  
ჩვენს იაკინთელისა-მწიფს:  
ასჯერ ესროლოს ისარი,  
ასჯერ მოერტყას მიზანში.  
  
პირველი პრიზი მიეღოს  
(ჯანმრთელობასაც პრიზად ვთვლით)  
„საუდის“ „ერთგულეებისთვის“  
და დიდხანს „სიცოცხლისათვის!“



ანუ რატომ ამოშალეს არჩილ მინდიაშვილი კომლთა სიიდან?

ამას წინათ რედაქციამ გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზიდან მიიღო წერილი: „ახლა ისეთ ასაკში ვარ, უურნალ „პიონერში“ უნდა ვაგზავნდე წერილებს, მაგრამ იძულებული ვაგვხდის, თქვენ მოგმართოთ: ვარ მეშვიდე კლასის მოსწავლე, ჩემი მშობლები ცხოვრობენ ქ. ცხინვალში, მოსკოვის ქუჩაზე; ქ. მოსკოვში სწავლობს ჩემი ერთი ძმა, ხოლო მეორე — თბილისში. 1959 წლიდან ვცხოვრობ ბებიასთან, რომელმაც თავისი ქონება მე მიანდერძა. 1963 წელს ნიქოზის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა საოქმო გადაწყვეტილებით ჩამრიცხა კომლის წევრად. 1967 წელს ბებია გარდამეცვალა და მეც დაუყოვნებლივ ამომშალეს კომლთა სიიდან...“

წერილს ხელს აწერს არჩილ მინდიაშვილი. რა თქმა უნდა, სწორად მოიქცნენ არჩილის მშობლები, რომ სოფელში კერია არ გააცივებს და იქ უმცროსი შვილი ჩაასახლეს; აქ ცუდი არაფერია, პირიქით. მისასალმებელი ფაქტია.

ახლა მედლის მეორე მხარე: სწორად იქცევა თუ არა კოლმეურნეობა, რომელიც არ თვლის კომლის წევრად არჩილ მინდიაშვილს?

აი რას ვკითხულობთ გაზეთ „კომუნისტის“ 1967 წლის 2 აგვისტოს ნომერში. „შეპიტიხება: ვარ 13 წლისა. 1959 წლიდან ვცხოვრობ ზემო ნიქოზში, ჩემი ბებუის კომლში. 1963 წელს ჩამრიცხეს კომლის წევრად. ბებია გარდამეცვალა 1967 წლის იანვარში. სწორად იქცევა თუ არა კოლმეურნეობა, რომელიც არ მთვლის კომლის წევრად (რადგან ბებუიას მიერ ჩემი შვილად აყვანა არ იყო სათანადო წესით რეგისტრირებული) და მიპირებს ხეხილიანი საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევას? ა. მინდიაშვილი, გორის რაიონი.“

პასუხი: თუ თქვენ 1959 წლიდან ფაქტიურად ცხოვრობდით თქვენი ბებუის კომლში, ხოლო 1963 წლიდან სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნის მიხედვით ითვლებოდით ამ კომლის წევრად, იმ შემთხვევაში ბებუიას გარდაცვალება არ ჩაითვლება კომლის არსებობის შეწყვეტისა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის საფუძვლად, მიუხედავად იმისა, ითვლებოდით თუ არა თქვენ ბებუიას მიერ შვილად აყვანილად.“

როდესაც ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. რეზო ყანჩაველს ვკითხე, სწორი პასუხია თუ არა დაბეჭდილი „კომუნისტში“ — მეთქი, მიპასუხა:

— პასუხი სწორია, მხოლოდ შეკითხვა არ არის სწორად დასმული!

აინტერესო პასუხია! იქნებ არჩილ მინდიაშვილმა ტყუილი დაწერა? იქნებ იგი 1967 წელს არ იყო 13 წლისა, ან 1959 წლიდან ბებუიასთან არ ცხოვრობდა? იქნებ მართლა არ ჩაურიცხავთ 1963 წელს კომლის წევრად, ან ბებია არ გარდაცვლია 1967 წელს? არა! შეკითხვის ყველა პუნქტი სრული სიმართლეა. ამხ. ყანჩაველმა განაცხადა, რომ ბებუიას მიერ შვილიშვილის შვილად აყვანა სწორად არ არის გაფორმებული. მაგრამ სწორედ ამან გაამხვილებული ყურადღება გახ. „კომუნისტის“ პასუხში: თუნდაც არ ყოფილიყო ბებუიას მიერ შვილად აყვანილი, არ შეიძლება კომლის გაუქმება და საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევა.

ჩვენ ვიცით, რომ რეზო ყანჩაველი გორის რაიონში ერთ-ერთი მოწინავე თავმჯდომარეა და ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი, თითქოს რაიმე ანგარების გამო უნდოდეს არჩილ მინდიაშვილისთვის ნაკვეთის ჩამორთმევა. მაგრამ გვაოცებს მისი საქციელი: იგი მაინც თავისას გაიძახის, არ უნდა „ქმნა მართლისა სამართლისა“.

აი, კიდევ გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების მიერ ამა წლის 20 თებერვლის თარიღით გაცემული ერთი საბუთი:

„სოფელ ზემო ნიქოზში მცხოვრებ არჩილ შალვას ძე მინდიაშვილს.“

გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი გაგიმართავთ, რომ საკარმიდამო მიწის 040 გექტარი ფართობი, რომელიც აღრიცხული იყო და ეკუთვნოდა ამჟამად გარდაცვალბულ ნინო იორდანეს ასულ მინდიაშვილს, რომლის შემადგენლობაში 1963 წლის 4 ივნისს შეგიტანათ ნიქოზის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 9 წლის მცირეწლოვანი ბავშვი, იგი ამჟამად აღმასკომის 1967 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმებულია და ეს გადაწყვეტილება გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1967 წლის 24 ნოემბრის № 508 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია, ვინაი-

დან თქვენ იმყოფებით სწავლისა და ცხოვრების გამო ქ. ცხინვალში მცხოვრებ მშობლების კმაყოფაზე და არავითარი ურთიერთობა სოფელ ზემო ნიქოზში არ გქონიათ.“

ხელს აწერს საერთო განყოფილების გამგე ე. შავდათუაშვილი.

აქ რამდენი სტრიქონიცაა, იმდენი წინააღმდეგობაა. ამ საბუთიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: გორის რაისაბჭო ედავება არჩილ მინდიაშვილს, რომ იგი არ ცხოვრობს ზემო ნიქოზში, განმარტებას კი ასეთი მისამართით უგზავნის: „ზემო ნიქოზში მცხოვრებ არჩილ შალვას ძე მინდიაშვილს“.

ეს არის პირველი წინააღმდეგობა.

მნელია გაერკვეთ, რისი თქმა უნდოდით ამ საბუთის გამცემთ. საბუთში აღნიშნულია, რომ არჩილის ბებუიას ეკუთვნოდა „040 გექტარი“ შემდეგ კი გრძელდება: „რომლის შემადგენლობაში 1963 წლის 4 ივნისს შეგიტანათ ნიქოზის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 9 წლის მცირეწლოვანი ბავშვი...“

გაუგებარია, რომელ „შემადგენლობას“ გულისხმობენ? რატომ ერიდებთ თქვენ „კომლის წევრად ჩარიცხვა“? რატომ არის ხაზგასმული „9 წლის მცირეწლოვანი“ (ჯერ ერთი, ან „9 წლის“ დაეწერათ ან „მცირეწლოვანი“. ალბათ საბუთისთვის მეტი სიმკვეთრის მიცემა უნდოდით) თუკი 9 წლის ბავშვის კომლის წევრად ჩარიცხვა არ შეიძლება, მაშინ გახ. „კომუნისტის“ რედაქციამ რატომ გასცა არჩილს დადებითი პასუხი? არჩილ მინდიაშვილს ხომ არ დაუშალავს თავისი წლოვანება, როდესაც კითხვით მიმართა რედაქციას და წერდა 13 წლის ვარო?


კიდევ ერთი არგუმენტი მოყვანილი ამ საბუთში. კერძოდ ის, რომ არჩილ მინდიაშვილი სწავლობს ცხინვალში. გორში რომ სწავლობდეს, მაშინ, ალბათ, ამ არგუმენტს ვერ მოიტანდნენ. მაგრამ სოფელ ზემო ნიქოზიდან ოთხჯერ უფრო მეტი გზაა გორამდე, ვიდრე ცხინვალამდე.

საინტერესოა რატომ ამოწერეს კომლის სიიდან არჩილი მაინცდამაინც მაშინ, როდესაც ბებია გარდაიცვალა? თუ შეცდომით იყო ჩაწერილი, ხომ შეიძლება, უფრო ადრეც გამოეწერებინათ ეს შეცდომა? ან იქნებ არჩილის ბებია უკვდავი ეგონათ? დავუშვათ, როდესაც არჩილს ბებია ცოცხალი ჰყავდა, მაშინ მართლაც არ ცხოვრობდა და ჩაწერილი იყო, ახლა ცხოვრობს და ამოწერეს. ცოტა არ იყოს, ეს ამბავი კურობს წაავას.

ამჟამად არჩილ მინდიაშვილის მამაც სოფელს დაუბრუნდა და კოლმეურნეობაში სამუშაოს მოითხოვს. სრულიად გაუგებარია, რატომ ეუბნება უარს კოლმეურნეობაზე არჩილის მამას რეზო ყანჩაველი? მუშახელი არ მაკლიაო, — განაცხადა ამხ. ყანჩაველმა. ნუთუ იმდენი. მუშახელი ჰყავს კოლმეურნეობას, რომ არ აგვიანებს ჭარხლის ან კომბოსტოს აღებას? ეს კი, ცოტა არ იყოს, გვეპყება.

ბარი მებრძველი

ნახ. ლ. ზარაფიშვილისა











— არა გრცხვინია, კაცო?!  
ისედაც ნახვებარფაბრიკატია და  
კიდევ ნახვებარს მაკლბე?



— მამალაში „ბულია-  
ში“ ვიშაპოვ და ასეთი ფეხ-  
საცმელები ვერ მიიღონია, მუნ  
სად იშოვნენ?

— ხუთი მართხ მობიხართ?!..



საკონსერვო

ჭირიმია გარდაიცვალა...  
— კალენიკემ 20 კილო მარტო თეთრი  
მაკარონი გაგვიხერხა...  
— ზესტაფონიდან ჩამოტანილი ღვინო ამ  
საქმეზე თუ არ ვიხმარეთ, მერე მაინც აღარ  
ივარგებს, ისეთია... — თქვა ერთმა.  
— თევი გვაქვს, ყველი გვაქვს, მწვანა-  
ლელულობა გვაქვს, ღვინო გვაქვს, პური გვა-  
ქვს! — ხმაოდლა ითვლიდა ჭირიმია ბიძა-  
მეილი.  
ჭირიმია დავსაფლავეთ...  
სასაფლაოდან რომ ვბრუნდებოდით, არ  
ვიცი, უამანდობის ბრალი იყო, თუ რისი,  
ოციოდე კაცილა შემოვრჩით პროცესიას.  
ახლობლები ჩვენზე უფრო მეტად წუხდნენ:  
ამხელა სამზადისი წყალში გვეყრება ტყუილ-  
უბრალოდო.  
— არიქა, ეს პატივცემული ხალხი მა-  
ინც არსად გაგვებნეს! — გააფრთხილა ჭარი-  
მის ბიძამ ახალგაზრდები, როდესაც ყველა-  
ფერი დამთავრდა.  
გადაწყვეტილი მქონდა, რაც შეიძლება  
ჩქარა გავცლოდი ამ უხერხულ საიტუაციას.  
— სად მიხვალ, კაცო, შენ?! — მეცა  
მკლავში ჭირიმია ბიძამეილი.  
— თავი დამანებეთ! — გავიქაჩე მე.  
— რატომ, რატომ?!  
— არ შემიძლია!  
— რა გაწყენინეთ ასეთი? კარგი ახლა.  
ხო... ო, რომ იცოდე, რა ღვინო და შოთის  
პურებია! — და ის სულწაწყმედილი ისე და-  
მეკიდა მაჯაზე, იძულებული გავხდი ცოტა  
უხეშად მიმეშარათა. აღარ მახსოვს, დედის  
მხარეს გადავწვდი თუ მაშისას, ვაგინე, მაგ-  
რამ რა ვაგინე!  
გაშრა, გაფთორდა და საპასუხო სიტყვაც  
ველარ გამონახა... მე კი ავუჩქარე ნაბიჯს, შე-  
ვერიე უცხო ხალხს, ჩვენს უკან რომ მოდიო-  
და, და მანამდე არ გამოვჩენილვარ, სანამ  
ნაცნობი საზოგადოება ავტობუსებში არ  
მოთავსდა. მაშინ კი ამოვიხსუნთქე თავისუფ-  
ლად. „ძლივს არ გადავრჩი ამ უსაშველო  
ჯახირს?“ — გავიფაქრე და ის იყო ახლად  
გათავისუფლებულ ტაქსს მარჯვენა ხელი  
ავუწიე გასაჩერებლად, რომ მარცხენაში  
ისევ მეცა ვილაცა.  
— რა გინდათ, ჩემი რიგია! — ვიყვირე მე.  
— კი მარა, სად მიბრძანდებით? — ამყვა  
ისიც.  
— სად და სახლშია, ვაკისკენ. — მეგონა  
დამგზავრება თუ უნდოდა.  
— აჰ, როგორ გეკადრებთ!  
— არ შეფერით ეს საქციელი!  
— არამც და არამც არ გაგიშვებთ!  
— ავტობუსი საცაა წავა! — შემომეხვიე-  
ნენ ირგვლივ, სიტყვის თქმა ვის აცალეს, გამ-  
კოჭეს, გამაყავეს და მიკრეს თავი დაძრულ  
ავტობუსში.  
— სად მიყავართ, რომ მიყავართ! მიც-  
ნობთ? გიცნობთ? დამანებეთ თავი! შაფი-  
ორ! — გადავძახე მძღოლს რუსულად.  
— რეყაი! — დაუმბატა ჩემს თხოვნას ვი-  
ლაცამ.  
მიღის ავტობუსი, მიჰქრის. არც მოსახვე-  
ვი, არც გაჩერება, არაფერი აღარ ახსოვს.  
ლაყლაყებენ საჯდომები, თუხთუხებს მოტო-  
რი, ქოთქოთებს ხალხი. ვის ესმის ჩემი სა-  
ყვედური!  
— რა გინდათ, ბატონო, მომეშვით! ჩე-  
მიანების ქელეხს ძლივს დავაღწიე თავა და  
ახლა სხვის ქელეხში მიპირებთ წაყვანას?  
გააჩერეთ! ნუ გამომაჭენებთ ცა და ქვეყანა-  
ში!  
აჰა, სად იყო მშველელი!






— რომ მისხვეწებოდ, ხურდა ფულის-  
თვის ყულაბა მომიტანო, ა, ბატონო!

ნახ. ღონისა



— მე რომ გუნების დავვის საყო-  
ბადოვება ველოდო, დედაბუღიანად  
ამოგვწყვიტენ!

1963 წელს აშშ-ის ქალაქ დალასში მო-  
ჰკლეს პრეზიდენტი ჯონ კენედი. ამას წი-  
ნათ ქალაქ მემფისში რასისტებმა განგმი-  
რეს მშვიდობისათვის ნობელის პრემიის  
ლაურეატი მარტინ ლუთერ კინგი.



ნახ. ბ. ლომიძის

ერთი და იგივე ხელი.

# ბარათები ნიანგს

პატივცემულ ნიანგო!

ახმების რაიონში არის ერ-  
თი სოფელი, სახელად ქორეთი  
ჭკვია. აქაურები ჯერ კიდევ  
1957 წელს დიდი ენთუზიაზ-  
მით შეუდექით სასოფლო  
კლუბის მშენებლობას. მას შე-  
მდეგ თერთმეტი წელი გავი-  
და, კოლმეურნეობის ოთხი  
ახალი თავმჯდომარე მოვიდა  
და წავიდა. თითოეული მათ-  
განის მოსვლა და კრებები, მო-  
წოდებები, დადგენილებები  
კლუბის აშენების შესახებ, ერ-  
თი იყო. მაგრამ რა?... დღესაც  
უკლებოდ ვართ.

აბა შენ იცი, თუ დაგვეხმა-  
რები!

ქორეთელები

საყვარელო ნიანგო!

ბოდიშს ვიხდით, რომ ლოტ-  
კინის გორიდან დეპეშით გესა-  
უბრებიო. სხვა საშუალება  
ჩვენ არა გვაქვს. ხომ იცით,  
ქალაქიდან ცოტა მოშორებუ-  
ლები ვართ. ტრანსპორტი აქ  
არ მუშაობს და ტელეფონზე  
ხომ... თუმცა, ტელეფონის ამ-  
ბავი თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

ახლა აი, რასა გთხოვთ, ძვი-  
რფასო ნიანგო: შენ ჩვენი  
მშველელი ხარ, გავიგეთ, რომ  
ქალაქში ხანდახან წყალი ჭირს  
და თუ იგი მოგინდეს, ნუ დაი-  
ზარებ, ჩვენთან ამობრძანდი!  
რამდენი ხანია, თბილისში მე-  
თულუხჩეები აღარ არიან,  
ჩვენთან კი — რამდენიც გინ-  
და. ოღონდ, ცოტა ფული წა-  
მოიღე: ერთ ვედრო წყალს აქ  
აბაზად ჰყიდიან.

ლოტკინისგორელები

## კარგი დახლი უღვათ!

ოღითგანვე მოგვევდა ჭირისა და ლხინის დღის-  
თვის რაიმეს გადანახვის ტრადიცია. ამისათვის ძველად  
სკივრებს იყენებდნენ, უფრო მოგვიანებით შემნახველი  
სალაროებიც კი შეიქმნა. მაგრამ საოცარი ის არის, რომ  
ვაჭრობის ზოგიერთმა მუშაკმა ამ საქმისთვის პატარა-პა-  
ტარა ოთახების გამოყენება დაიწყო და ამ ოთახებს სახე-  
ლად საწყობები დაარქვა.

ვერ ვიტყვი, რომ მახარადის რაიკოოპკავშირის ნატა-  
ნების სოფლის კოოპერატივის ცენტრის მალაზიასა და  
ცხემლისხიდის სოფლის კოოპერატივის სოფ. შუადვამ-  
ზუს მალაზიას, სადაც გამგეობად ა. ელიშაყაშვილი და ი.  
მოშიაშვილი მუშაობენ, რაიმე გასაჭირი ჰქონდეთ. პირი-  
ქით, მათი მალაზიები მშვენივრად მარაგდება, მაგრამ რად  
გინდა? დახლზე ვერაფერ ხეირიანს ვერ ნახავთ, თუ რაი-  
მე იმპორტული ან ფართო მოხმარების საქონელი გინ-  
დათ, მზერა დახლის ოქით რომ კარია, იმას უნდა მიაბყ-  
რო. იქ კი, რა გინდა სულო, არ იყო.

— ეს კაი ბიჭებისთვის გვაქვს, გენაცვალე! — გვეუბ-  
ნება არონ ელიშაყაშვილი.

კარგია, რომ კარგი ბიჭებისთვის აქ ყველაფერი აქვთ,  
მაგრამ ვინ არიან ეს კარგი ბიჭები? იქნებ ამის დადგენა-  
ში მახარადის რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელობა დაგ-  
ვეხმაროს?

ბ. კახიანი

ნახ. რ. ჯაშისა



უსიტყვოდ.



მთავარი  
რედაქტორი  
ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო  
კოლეგია:  
ზ. გოლჭავაძე  
(პ/მბ. მღივანი).  
ს. კლდიაშვილი.  
ნ. მაღალაშვილი,  
ბ. ნიშნიანიძე,  
(მთავ. რედ.  
მოაღბილე),  
ნ. შველიძე,  
ო. ჭელიძე.


სატირისა და იუმორის  
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.



# ნიანგი

ტელ. 99-76-69, 93-10-78, 93-49-32

Тбилиси, Сатирико-  
юмористический  
журнал «Нианги».  
საპ. კვ ცენტრალური  
კომიტეტის გამომცე-  
მოლოა. ხელმოწ.  
დასაბ. 24/IV 1968 წ.  
ქალ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>8</sub>  
1 ნახ. ფურც. 1.4.  
ფიზიკურ ფორმათა  
რაოდენობა 1.  
პირობით ფორმათა  
რაოდ. 2. საპ. კვ  
ც-ის გამომცემლო-  
ბის კ/კოოპინატი.  
თბილისი, ლენინის  
ძ. № 14. შიპკ. № 1639.  
უა 02069.  
ტირაჟი 99 200.







საიუბილეო წიგნაკი